

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას  
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას  
საქართველოს ჟურნალისტთა კორპუსს  
საქართველოს სამოქალაქო სექტორს  
საქართველოს სახალხო დამცველს  
საქართველოს საზოგადოებას

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
განცხადება

გამოხატვის თავისუფლების ფარგლების სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე

**ბატონებო,**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აქვეყნებს მედიის წარმომადგენლების მიერ ბოლო პერიოდში გავრცელებულ განცხადებებს საქართველოს მოსამართლეებისა და სასამართლო სისტემის მიმართ, რომლებიც, ჩვენი აზრით, განხორციელებულია გამოხატვის თავისუფლების ფარგლების უხეში დარღვევით და წარმოადგენს სასამართლოს, როგორც ინსტიტუტისადმი შეუწყნარებელ უპატივცემულობას და ინდივიდუალური რეპუტაციის უფლების არაერთგზის უხეშ შელახვას. საბჭო მიიჩნევს, რომ ასეთი განცხადებები, ცალცაკლე და მით უფრო ერთობლივად, დიდ ზიანს აყენებს არა მარტო სასამართლო სისტემას, არამედ თავად გამოხატვის თავისუფლებას და იწვევს მის დისკრედიტაციას, რამდენადაც ისინი განხორციელებულია გამოხატვის თავისუფლებისგან განუყოფელი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევით, ხოლო ზოგჯერ - თვით ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენებით. საბჭო მიიჩნევს, რომ ისინი აუცილებლად უნდა გახდეს სამაუწყებლო საშუალებების, ჟურნალისტთა კორპუსის და მთელი საზოგადოების მხრიდან განხილვისა და ფართო საჯარო დისკუსიის საგანი.

ჩვენი მიზანია შევიტყოთ, თუ როგორია ჩვენი საზოგადოების, სამაუწყებლო საშუალებების და საკუთრივ ჟურნალისტთა კორპუსის დამოკიდებულება ამ განცხადებებისადმი, რათა ყველამ ერთად შევაფასოთ, რამდენად სწორად არის ჩვენში გააზრებული გამოხატვის თავისუფლების შინაარსი, სასამართლოსა და ინდივიდუალური მოსამართლეების მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები და რით გამოიხატება გამოხატვის თავისუფლებისაგან

„განუყოფელი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევა სასამართლოს კრიტიკასთან მიმართებაში.

ჩვენი მიზანია, აგრეთვე, შევაფასოთ იმ სამართლებრივი მექანიზმებისა თუ ეთიკური მოთხოვნების ადეკვატურობა, რომლებიც მოწოდებული უნდა იყოს, ერთი მხრივ, დაიცვას სასამართლოს და მოასამართლეების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის ლეგიტიმური საჯარო და კერძო ინტერესი, და, მეორე მხრივ, შექნას ეფექტიანი მისაგებელი დარღვეული უფლებებისა და ინტერესების აღდგენის, გამოსწორებისა და დარღვევების პრევენციისათვის (კანონმდებლობა, ჟურნალისტიკა და სხვა პროფესიული ეთიკის ნორმები, მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, არსებული პრაქტიკა და სხვა).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საგანგებოდ მიმართავს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას და სთხოვს, განიხილოს ქვემოთ განცხადებები და შეაფასოს ქარტიის პრინციპებთან მათი შესაბამისობა. საბჭო მიიჩნევს, რომ ეს განცხადებები განხილულ უნდა იქნეს როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად (კუმულაციურად), და ერთობლიობაში შეფასდეს ცალკეული ჟურნალისტების მხრიდან პროფესიული ეთიკის პრინციპების სავარაუდო დარღვევის საკითხი.

ამასთან, ველით, რომ სადავო განცხადებები განხილული იქნება როგორც ქარტიისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის, ისე „ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის“ მიერ აღიარებული „ჟურნალისტების ქცევის პრინციპების დეკლარაციის“ საფუძველზე, რომელსაც, ქარტიის პრეამბულის მიხედვით, ქარტიის პრინციპები ემყარება. თქვენს ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ქარტიის პრინციპები, სამწუხაროდ არ ასახავს ყველა იმ დებულებას, რომლებიც „ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის“ მიერ მიღებული დოკუმენტითაა გათვალისწინებული. კერძოდ, „ჟურნალისტთა ქცევის პრინციპების დეკლარაციისაგან“ განსხვავებით, **ქარტია არ ადგენს ჟურნალისტის უფლებასა და მოვალეობას „კეთილსინდისიერი კომენტარისა და კრიტიკის“ თაობაზე ( the right of fair comment and criticism);** გარდა ამისა, ქარტია არათუ მხოლოდ „მძიმე პროფესიულ დარღვევად“, არამედ საერთოდ **ჟურნალისტური ეთიკის დარღვევად არ ასახელებს „წინასწარ განზრახულ, ბოროტ, ღვარძლიან, ცილისმწამებლურ ბრალდებებს, უსაფუძვლო თავდასხმებს, ფაქტების დამახინჯებასა და ჭორების გავრცელებას“ (malicious misrepresentation, calumny, slander, libel, unfounded accusations)** საერთაშორისო სტანდარტებისაგან განსხვავებით;

ასევე ველით, რომ საკითხები განხილული იქნება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის (რომელსაც ასევე ემყარება ქარტია და მაუწყებელთა ქცევის კოდექსი) და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის პრიზმაში; გათვალისწინებული იქნება გამოხატვის თავისუფლების თაობაზე ევროპული კონვენციის ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპი - რომ გამოხატვის თავისუფლებისათვის თანაარსია „შესაბამისი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ და რომ იგი შეიძლება შეიზღუდოს როგორც ინდივიდუალური რეპუტაციის, ისე სასამართლოს ავტორიტეტის და მიუკერძოებლობის დასაცავად. (ასეთივეა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მოთხოვნა).

იმავდროულად, მიგვაჩნია, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს მოსამართლისა და სასამართლოსთან მიმართებაში „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები, რომლებიც კონვენციის სამართლით არის შემუშავებული, და, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ მოსამართლე, „თავშეკავებულობის პრინციპიდან“ გამომდინარე, მთლიანად მოკლებულია მის წინააღმდეგ გამოთქმულ კრიტიკაზე ადეკვატური პასუხის გაცემის შესაძლებლობას მედიასაშუალებების მეშვეობით; საბჭოს მიაჩნია, რომ სასამართლოსა და მოსამართლეების კრიტიკა მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მათი შეურაცხყოფის, ლანძღვის, დამცირების, მათდამი სიძულვილის გავრცელებისა თუ მათი დაშინებისგან, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობის განცხადებებისაგან. გამოხატვის თავისუფლების ამგვარი გამოვლინებანი შორს სცილდება არა მარტო სასამართლოს „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებს, არამედ, გამოხატვის თავისუფლების საერთო ფარგლებსაც, რომელთა გადალხვის შემდეგაც მისი შეზღუდვის აუცილებლობა წარმოიშობა.

არანაკლებ აქტუალურად გვესახება განხილვაში მყოფი საქმეების მედიაში გაშუქების სტანდარტების დადგენა, რათა ასეთმა გაშუქებამ ხელი არ შეუწყოს, ერთი მხრივ, საზოგადოებაში კონკრეტულ საქმეებზე წინასწარი აზრის ჩამოყალიბებას და საქმის სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევას, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლოს როლისა და ფუნქციების უზურპაციას მედიის მიერ, იმ აუცილებლობაზე უარის თქმას, რომ სასამართლოები საზოგადოების მიერ განხილვებოდნენ, როგორც სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტილების ერთადერთი სწორი ადგილი, როგორც ამას ხშირად მიუთითებს სტრასბურგის სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში.

გარდა ამისა, მხედველობაში ვიღებთ, რომ ქარტია, წესდების თანახმად, შემოიფარგლება მხოლოდ ჟურნალისტის მხრიდან პროფესიული ეთიკის პრინციპების დარღვევის დადგენით ან დარღვევის უარყოფით, ხოლო დამრღვევის წინააღმდეგ არანაირ სანქციას არ იყენებს. ეს გარემოება ისედაც ნაკლებეფექტიანს ხდის ჟურნალისტური ეთიკის დარღვევებზე რეაგირების სისტემას. ამის გათვალისწინებით, დიდი იმედი გვაქვს, რომ ქარტია დიდი გულისყურით მოეკიდება საქმეს, არ მოახდენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინამდებარე განცხადებაში მითითებული ფაქტების იგნორირებას და თავს არ აარიდებს საერთაშორისო სტანდარტებით მათ შეფასებას. საბჭო მიიჩნევს, რომ იმგვარი დარღვევების მიჩქმალვით და იგნორირებით, რომლებიც ამ განცხადებაშია გადმოცემული, ქართული მედია არა თუ მხოლოდ ვერ შეძლებს თავისი როლის შესრულებას, არამედ შესაძლოა წახალისოს კიდევაც სხვადასხვა ლეგიტიმური ინტერესის შელახვა, ხელი შეუწყოს უპასუხისმგებლო ჟურნალისტიკისა და სიტყვის თავისუფლების ვულგარული გაგების დამკვიდრებას.

სიტყვის თავისუფლება, ისევე როგორც, ინდივიდუალური რეპუტაცია და სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვა დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი ღირებულებებია და ისინი მთელი საზოგადოებისაგან მოითხოვენ მხარდაჭერას. ჟურნალისტური ეთიკის პრინციპების დაცვა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ მედიამ ეფექტიანად შეასრულოს ის როლი, რომელიც მას დემოკრატიულ საზოგადოებაში ეკისრება-სააშკარაოზე გამოიტანოს საზოგადოებისათვის საჭირობო საკითხები, ხელი შეუწყოს მათზე საქმიან საჯარო დებატებს და ამ ფუნქციის განხორციელებისას ზიანი არ მიაყენოს სხვა დემოკრატიულ ღირებულებებს. ჟურნალისტური ეთიკის პრინციპების დაცვა კი,

უწინარესად სწორედ ჟურნალისტთა კორპუსის ვალია. არც იმის უარყოფა ეგების, რომ ჟურნალისტური ეთიკის სავარაუდო დარღვევებიც, რომლებსაც უზარმაზარი ზიანის მიყენება შეუძლია ინდივიდებისა თუ საჯარო ინტერესებისათვის, ასევე წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს და ისინიც „იმსახურებენ“ სააშკარაოზე გამოტანასა და საჯარო დისკუსიებს. ქართულ საზოგადოებას უფლება აქვს იცოდეს, იცავდეს თუ არ საქართველოს ჟურნალისტები მათი პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, თვითშეზღუდვისა და თვითცენზურის ვალდებულებას ან როგორ რეაგირებს სისტემა ამგვარი ვალდებულებების დარღვევაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჟურნალისტურ ქარტიას და საქართველოს ჟურნალისტებს მოგმართავთ წინადადებით, განიხილოთ წინამდებარე განცხადებაში მოყვანილი ფაქტები და შეაფასოთ, დაარღვიეს თუ არა შესაბამისი განცხადებების ავტორებმა „გამოხატვის თავისუფლებისაგან განუყოფელი მოვალეობები და პასუხისმგებლობა“. ასევე გთხოვთ, გვაცნობოთ, აპირებთ თუ არა რაიმე რეაგირებას, ან საჯარო დისკუსიის წამოწყებას ამ თემაზე, ან რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა გესახებათ აუცილებლად მსგავსი დარღვევების პრევენციის მიზნით.

საბჭოს გამოხატვას სრულ მზადყოფნას ზემოაღნიშნულ საკითხებზე ითანამშრომლოს მედია-ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორთან და ყველა დაინტერესებულ პირთან, მონაწილეობა მიიღოს კონფერენციებში, დისკუსიებში, შესაბამისი კვლევების მომზადებაში, ეროვნული თუ საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით.

წინამდებარე განცხადებას თან ახლავს ჟურნალისტების მიერ გავრცელებული განცხადებების შედარებით ვრცელი ამონარიდები განცხადებების ავტორების, განცხადებების გაკეთების დროისა თუ ადგილის მითითებით და შესაბამისი ვებგვერდების აღნიშვნით; (საჭიროების შემთხვევაში წარმოგიდგენთ ვიდეო- მტკიცებულებებსაც). თუმცა, ამის მიუხედავად, საჭიროდ მივიჩნით, თავად გაგვეკეთებინა აუცილებელი აქცენტები, სადავო განცხადებები დაგვეჯგუფებინა რამდენიმე მიმართულებით და გამოგვეკვეთა ერთგვაროვანი დარღვევები, რათა გაგვეადვილებინა ჟურნალისტური ეთიკის ნორმებთან მათი შესატყვისობის შეფასება.

ესენია:

**1. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული უმძიმესად შეურაცხყოფელი ეპითეტები:**

- ✓ „ზონდერ- მოსამართლე“,
- ✓ „დაქირავებული ზონდერი“;
- ✓ „მანქურთი“,
- ✓ „მანტიაში გახვეული მანქურთი“,
- ✓ „მოლაღატე“,
- ✓ „კრიმინალი“,

- ✓ „სამარცხინო“,
- ✓ „ გაყიდული მონა“,
- ✓ „ჯიბის მოსამართლე“ ,
- ✓ „დავალების შემსრულებელი“ ,
- ✓ „ქვეყნისათვის თავისმომჭრელი“,
- ✓ მოსამართლეების მოხსენიება „ბრბოდ“ და სხვა;

**2. მოსამართლისათვის უვიცობის დაბრალება, მისი პიროვნული და პროფესიული შეურაცხყოფა:**

- ✓ „ თქვენ (იგულისხმება მოსამართლე თ. ურთმელიძე) ვის რა უნდა ასწავლოთ, ბათუმში ჩააბარე გამოცდა, სრულიად გასაგებია როგორც ჩააბარეთ და არაფერი თქვენ არ იცით“ .
- ✓ „17 გვერდიანი გადაწყვეტილება თამაზ ურთმელიძეს ერთ დღეში კი არა, ერთ კვირაში არ დაუწერია თავის სიცოცხლეში და ამერიკის უზენაესი სასამართლოს არსებობა ყურმოკვრით იცის საერთოდ, და იქ ციტირებები აქვს ამერიკის უზენაესი სასამართლოდან გაკეთებული იმ საქმეებზე, რომლებზეც წარმოდგენა არ აქვს ... პროცესის მიმდინარეობის დროს, მაშინაც სხვისი დაწერილი განჩინება წაიკითხა“
- ✓ „შთაბეჭდილება მრჩება, რომ ფსიქოტროპული პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ არის, უვიცი, უწიგნური ურთმელიძე“;
- ✓ „მოსამართლე შორენა ყაველაშვილი... არის პირადად სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, ვალერი ცერცვაძის ზონდერ მოსამართლე“;
- ✓ „ნატა ნაზლაიძე მონაა ჩვეულებრივი ბიძინა ივანიშვილის მორიგი...“.
- ✓ „ საქმე გვაქვს ზონდერ მოსამართლესთან (იგულისხმება მოსამართლე შორენა ყაველაშვილი) რომელიც სპეციალურად არის გამწესებული ამ კოლეგიაში იმისთვის, რომ ისე მართოს ყველაფერი, როგორც დაჭირდება ეს ამ შემთხვევაში ვალერი ცერცვაძეს“.
- ✓ „ ის (მოსამართლე შორენა ყაველაშვილი) არის მოსამართლის ზონდერი და მას ჰყავს თავისი ქვემდგომი ზონდერები, რომელიც მოგვივლინა ამ პროცესზე.“
- ✓ „ჩვენ გვაქვს დიდი ეჭვი, რომ შორენა ყაველაშვილი არის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ვალერი ცერცვაძის ზონდერ-მოსამართლე“ .
- ✓ "ის (მოსამართლე შორენა ყაველაშვილი) არის ზონდერი და დავალების შემსრულებელი“.
- ✓ "ბატონო ზურაბ, (იგულისხმება უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ზურაბ ძლიერიშვილი) მე მრცხვენია, რომ ჩემს ქალიშვილს სამართალს ასწავლით“.

3. გამონათქვამები მთელი სასამართლო სისტემის წინააღმდეგ, მათ შორის ცრუ ფაქტებისა და დაუსაბუთებელი „შეფასებების“ გავრცელება, რომლებიც იწვევს სასამართლოს დისკრედიტაციას ხალხის თვალში:

- ✓ "სასამართლო ჩვენთვის ყრუა, სასამართლო ჩვენთვის ბრმაა..“; „ეს გადაწყვეტილება ულრანი ტყის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ურთმელიძემ შექმნა ფესვდომართლმსაჯულებით“;
- ✓ „რასაც ურთმელიძე და სასამართლო სისტემა აკეთებს, სრული სამართლებრივი დომხალია“;
- ✓ „ეს არ არის მართლმსაჯულება და უკვე მართლმსაჯულების იმიტაცია, ეს არის ჩვეულებრივი ძალადობა, რაც ეხლა სასამართლო დარბაზში ხდება, ეს სასამართლო დარბაზიც აღარ არის, ამ შენობამ სასამართლოს სტატუსიც დაკარგა...“
- ✓ ეს ხომ არ არის მართლმსაჯულება... დავალების გამცემის თავში რა მომწიფდა და რა დავალება გასცა ამ ვითომ მოსამართლე, სამარცხვინო ქალბატონებზე, მე ნამდვილად არ ვიცი“;
- ✓ „(მონები) ბევრნი არიან ... სასამართლო სისტემაში, მომრავლდნენ სამწუხაროდ, რა დავალებაც აქვს, იმ დავალებას ასრულებს“;
- ✓ „... განუკითხაობაა საერთოდ სასამართლო სისტემაში... საქართველოში სასამართლო სისტემა არ არსებობს როგორც ასეთი. ერთი ადამიანი არის გადაწყვეტილებების მიმღები, ერთ ადამიანს უჭირავს ის ჩაქუჩი, რომლითაც მიიღება გადაწყვეტილებები სასამართლო სისტემაში და არიან უბრალო ხელმოწერი მოსამართლეები, რომელსაც რასაც დაუდებენ იმას აწერენ ხელს, ეს არის ჩვენი დღევანდელი სასამართლო სისტემა.. ასეთია სასამართლო სისტემა ...წინასწარ დადებენ გადაწყვეტილებას და უბრალოდ მოაწერენ ხელს.“
- ✓ უზენაესი სასამართლო არის ერთი ძალიან დიდი ნაგვის ურნა, რომელშიც მიიღება არა გადაწყვეტილებები, არამედ სამართლებრივი ნაგავი..“
- ✓ „საუბარია სრულ ფაბრიკაციაზე, ეს არ არის მართლმსაჯულება და სასამართლო“.
- ✓ ისინი ისტორიაში შევიდნენ იმ 9 მოსამართლით, რომლებმაც, როგორც ბრბომ ერთხმად მისცა ხმა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მათთვის დაწერა ამ ხელისუფლებამ“.
- ✓ „9 უსირცხვილო და კრიმინალმა მოსამართლემ ერთხმად მოაწერა ხელი გადაწყვეტილებას“;
- ✓ „აქ ჩვეულებრივი ზონდერული მუშაობა მიდის მოსამართლეებთან, განსაკუთრებით ნატა ნაზლაიძეა ამაში შემჩნეული და აკვირვებს ხოლმე თავის კოლეგებს“.
- ✓ „კოლეგია, თუა წულუკიანი და მთავრობის წევრები ერთი და იგივე დისკუსიის ნაწილი არიან და ერთნაირად დაამთავრებენ“;
- ✓ „ჩვენ გვასამართლებენ ზონდერ მოსამართლეები“;

- ✓ „ ისინი მოსამართლეები არ არიან, ისინი არიან მანქურთები მანტიაში.“
- ✓ „ისინი ისტორიაში შევიდნენ ურთმელიძის დედის ნაჯახით, ისინი ისტორიაში შევიდნენ გუჯაბიძის დედისთვის, ჩვენივე ფულით მიქირავებული ბინით, ისინი ისტორიაში შევიდნენ იმ 9 მოსამართლით, რომლებმაც, როგორც ბრბომ ერთხმად მისცა ხმა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მათთვის დაწერა ამ ხელისუფლებამ“.

**4. შეურაცხყოფელი და დამამცირებელი კონტექსტები:**

- ✓ „გუჯაბიძე ყოველთვის ასოცირდებოდა წულუკიანის გუნდთან, ძალღმა ძალღის ტყავი არ დახია!“
- ✓ ნატა ნაზლაიძე არის ურთმელიძე კაბაში, არავითარი სხვაობა მათ შორის არ არის“;
- ✓ მთავარი ზონდერი გამოკვეთილია, რომ არის ქ-ნ ნაზლაიძე, სრულიად სამარცხვინო. ურთმელიძეს თუ ვნახავდი კაბაში, ამისი მოლოდინი არ მქონდა, მაგრამ ვხედავთ ურთმელიძეს კაბაში“;
- ✓ (ნ. გუჯაბიძე) პროკურატურას .. ყავს მიბმული, როგორც ყავდა მიბმული მოსამართლე ურთმელიძე“.
- ✓ მოსამართლის მანტიაში გახვეული მანქურთი ურთმელიძე ებრძვის სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებას დედამისის ნაჯახით“.
- ✓ „ცუდია, რომ ნიკა გვარამია არ აყვა ნათია გუჯაბიძის თამაშს, თორემ ახლა ხომ მოუწევდა ქალბატონ ნათიას მანტიის გახდა. არა მგონია, რაიმე საინტერესო დახვედროდა იქ, მაგრამ მაინც.“

**5. მოსამართლეთა დემონიზება, მათდამი სიძულვილის გაღვივება და მათი ასოცირება ბნელ, ბოროტ ძალებთან:**

- ✓ „ურთმელიძე გახდა ზედსართავი სახელი, ის აღნიშნავს უსამართლობას, დედის უარყოფას, ის აღნიშნავს ყველაფერ ცუდს რაც არსებობს ქვეყანაზე. ასეთი მიმართვები არის საზოგადოებაში - ურთმელიძე ხომ არ ხარ?“
- ✓ „ ნუ გაყვებით ბარაბას გზას ...ნუ გაყვებით ურთმელიძეს, ნუ გაყვებით ნაზლაიძეს... გაყევით ქრისტეს გზას!“
- ✓ „სასამართლო კოლეგიაში ზის სამი შაჰიდი ქალი..“. რომელიც ანგრევს ქართულ სახელმწიფოს.“

**6. მოსამართლეთათვის დანაშაულის პირდაპირ დაბრალება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპების დარღვევით:**

- ✓ „(ნ. გუჯაბიძე) როგორც აღმოჩნდა თაღლითია, „თაღლითობაში შემჩნეული და სახელმწიფო სახსრების მითვისებაში, ეს მინიმუმ ასეთი... ასეთი თაღლითი მოსამართლე ჩვენ ჩვენს საქმეში არ გვჭირდება!
- ✓ „ნათია გუჯაბიძე საერთოდაც თაღლითი აღმოჩნდა, ფულს ითვისებდა სახელმწიფოსგან.“
- ✓ „ნატა ნაზლაიძის გმირობა დაუფასებელი არ დარჩა და გაწეული სამსახურისთვის ქართულმა ოცნება ის სოლიდურად დაასაჩუქრა... რამდენიმე თვეში ...მისმა ძმამ სახელმწიფოსგან რამდენიმე მილიონი ლარი მიიღო ...საინტერესოა როგორია ოფიციალური ვერსია, რით დაიმსახურა ნატა ნაზლაიძის ოჯახმა ასეთი გულუხვი საჩუქარი.“
- ✓ „ეს არის კორუფციის ფაქტი, კატასტროფულად მძიმე ფაქტი... , აღმოჩნდა, რომ მან (ნ. ნაზლაიძემ) დაახლოებით მილიონამდე ქრთამი აიღო. „ეს არის ღიად გაცხადებული კორუფცია ...ქრთამის ამღები არის მოსამართლე. ეს არის სახელმწიფოს მხრიდან ქრთამის გადახდა მოსამართლისთვის! ...სახელმწიფოს მხრიდან, სახელმწიფოს სახსრებით! ბიძინა ივანიშვილმა ....სახელმწიფოს სახსრებით გადაუხადა მას ქრთამი, იმისათვის, რომ რუსთავი 2 -ის საქმე ესე გადაწყვეტილიყო“.

**7. მოსამართლეების დაშინება, სამსახურის დაკარგვისა და დასჯის მუქარა, მათ მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით:**

- ✓ „ თქვენ გაძევდებით სასამართლო შენობიდან კი არა, სისტემიდან, თან ძალიან ცუდად, რომ იცოდეთ!“.
- ✓ ჩვენს საქმეს დაქირავებული ზონდერი იხილავს, რომელიც აუცილებლად და უტყუარად წარსდგება სასამართლოს წინაშე და პასუხს აგებს ყველა თავისი ქმედებისთვის..
- ✓ გარანტიას ვაძლევთ ქ-ნ ნაზლაიძეს , აი როგორც ურთმელიძემ დაამთავრა- ეხლა ხომ აღარ არის მოსამართლე და ველარც იქნება ვერასდროს, ისე აღარ იქნება ძალიან მალე თვითონაც, და ველარც გახდება ვერასდროს. თუ ამითი შემოიფარგლა მისი პასუხისმგებლობა, ჩათვალოს რომ ძალიან ბედნიერი უნდა იყოს...
- ✓ ერთნაირად დაამთავრებენ, ნატა ნაზლაიძე, თამაზ ურთმელიძეც და თეა წულუკიანიც;“
- ✓ ყველაფერს გავაკეთებ , რომ (ნაზლაიძე) ფორმალურადაც არ იყოს მოსამართლე... ამ ქალბატონს მანტიას აუცილებლად გავხდით... ის.. დაამთავრებს ცუდად! ამას მას ვპირდება, ამის გარანტიას ვაძლევ ამისას 100 %-იანს.“
- ✓ „მე გარანტიას ვაძლევ ყველა იმ მოსამართლეს, რომელიც ამაში ჩაბმულია, ისინი აგებენ პასუხს კანონის წინაშე, კანონის მთელი სიმკაცრით!“
- ✓ დაისჯებიან ეს მოსამართლეები კანონის მთელი სიმკაცრით.“
- ✓ „ეს ადამიანები დიდხანს თავისუფლებაზე ვერ იქნებიან, იმის გამო რასაც აკეთებენ ...ეს ქალები არიან ჩვეულებრივი დავალების შემსრულებელი მანქურთები,



ზონდერები და ყველა ზონდერი ადრე თუ გვიან ამთავრებს ციხეში, არსებობს ქალთა კოლონიაც! „

- ✓ „თუ მოსამართლეები მიიღებენ უკანონო გადაწყვეტილებას და ნებისმიერი გადაწყვეტილება ქიბარ ხალვაშის სასარგებლოდ იქნება უკანონო, ყოველი მათგანი ხელს მოაწერს საკუთარ პროფესიულ და კარიერულ თვითლიკვიდაციას, ეს იქნება პროფესიული და კარიერული სუიციდი, ეს ადამიანები ვერასდროს ვერ გააგრძელებენ პროფესიულ და კარიერულ წინსვლას ამ ქვეყანაში.“
- ✓ „არასდროს არ იდგებით მეორეჯერ ესეთი მარტივი არჩევანის წინაშე, ჩაწერთ თქვენი თავი ისტორიაში ოქროს ასოებით, ან ჩაწერთ შავი ასოებით, სამარცხვინო სვეტზე გააკრათ თქვენი თავები, თქვენი ოჯახები და მთელი თქვენი შთამომავლობა. გარანტიას გაძლევთ, ყველა იმ მოსამართლეს რომელიც უკანონობას მოაწერს ხელს, მის ფეხქვეშ მიწა დაიწვება აუცილებლად“.
- ✓ „ამ მოსამართლეების სურათებმა მთელი საქართველო უნდა მოიაროს. ნინო გვენეტაძე კი უმკაცრესად უნდა დაისაჯოს.“
- ✓ „ნინო გვენეტაძე, ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ გინდა? მართლა მიწა დაიწვება შენს ფეხქვეშ.“

#### 8. მცდარი ინფორმაციის გავრცელება, ფაქტის არასწორი, მიკერძოებული და საზოგადოების შეცდომაში შემყვანი ინტერპრეტაცია:

- ✓ „სტრასბურგის სასამართლომ დაადასტურა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების უკანონობა“. (განცხადება გაკეთებულია გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ სტრასბურგის სასამართლოს მიერ შუალედური ღონისძიების გამოყენების შემდეგ, მაშინ როდესაც მას საქმე არსებითად ჯერ არ განუხილავს);
- ✓ (სასამართლოს და მოსამართლეებს) ევროპის სასამართლომ უთხრა რომ დიახ - თქვენ არა ხართ სასამართლო! თქვენ არა ხართ ეროვნული ინტერესების გამტარებლები, თქვენ ხართ ჯიბის მოსამართლეები, თქვენ არ ახორციელებთ მართლმსაჯულებას!“ (განცხადება გაკეთებულია გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ სტრასბურგის სასამართლოს მიერ შუალედური ღონისძიების გამოყენების შემდეგ, მაშინ როდესაც, მას საქმე არსებითად ჯერ არ განუხილავს);
- ✓ „რუსთავი 2-ის საქმეზე გადაწყვეტილება თეა წულუკიანის კაბინეტში დაიწერა ეკა ბესელიასთან კონსულტაციების შემდეგ.“
- ✓ „გადაწყვეტილება დაწერილია გუშინ, დაიწერა იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის კაბინეტში, ეკა ბესელიას მონაწილეობით“ –
- ✓ „გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და დაწერილია თეა წულუკიანის კაბინეტში წუხელ. ნინო გვენეტაძემ მიიტანა ეს გადაწყვეტილება...“.

9. მოსამართლეების გადადგომის მოთხოვნა საჯაროდ ქალაქის ცენტრში გამართულ მიტინგზე, გვარების დასახელებით და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით; მოწოდება სტუდენტებისადმი, ბოიკოტი გამოუცხადონ მოსამართლეებს და არ შევიდნენ მათ ლექციებზე:

✓ „ვერცერთი ჩვენთაგანი ვერ ეტყვის მადლობას ქართველ მოსამართლეებს, სამარცხვინო, ქვეყნის თავისმომჭრელ - გაყიდულ მონებს! ამიტომ ჩვენ დღეს აქ მოვითხოვთ და ყველას, ვისაც გავლენა აქვს საზოგადოებაზე მოუწოდოს იგივე. ჩვენ ვითხოვთ აქ ჩამოთვლილი სამარცხვინო გამყიდველების გადადგომას, ესენი არიან: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე, მოსამართლეები: ეკატერინე გასიტაშვილი, პაატა ქათამაძე, ბესარიონ ალავიძე, მზია თოდუა, ზურაბ ძლიერიშვილი, ვასილ როინიშვილი, მაია ვაჩაძე, გიორგი შავლიაშვილი, ნატალია ნაზლაიძე, ნათია გუჯაბიძე და შორენა ყაველაშვილი. ჩვენ ვითხოვთ რომ ეს ხალხი წავიდნენ სასამართლოდან, ისინი არ ასრულებენ კონსტიტუციურ ფუნქციას, ისინი არიან გაყიდული მონები და მათი ადგილი არ არის სასამართლოში“.

✓ „მოსახლეობა ითხოვს გადადექით და დაეხსენით მართლმსაჯულებას, თვენ მართლმსაჯულებას ვერ განახორციელებთ! და კიდევ ერთი, არცერთი ეს ადამიანი არ შეიძლება შედიოდეს სტუდენტებთან და წამლავდეს მათ თავისი ტყუილებით, არ შეიძლება სტუდენტებს და შემდეგ თაობებს უკითხავდნენ ლექციებს ადამიანები, რომლებიც სრულიად სამარცხვინოდ მონურ მდგომარეობაში იმყოფებიან დღეს. მოუწოდებ ყველა სტუდენტს არ შევიდეს, პროტესტი და ბოიკოტი გამოუცხადოს ყველა ამ ადამიანს, უარი უთხრას მათ ლექციებს, უარი უთხრას ამ უწესო ადამიანებს და მონებს, რომლებმაც გაყიდეს ქართული მართლმსაჯულება და რომლებსაც ევროპის სასამართლომ უთხრა რომ დიახ - თქვენ არა ხართ სასამართლო! თქვენ არა ხართ ეროვნული ინტერესების გამტარებლები, თქვენ ხართ ჯიბის მოსამართლეები, თქვენ არ ახორციელებთ მართლმსაჯულებას! კიდევ ერთხელ ყველა პოლიტიკურ ძალას, ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, ყველას, ყველა ქართველს ღიად და საჯაროდ დააფიქსიროს პროტესტი ამ ადამიანების მიმართ და მათი გადადგომა აქტიურად.“

10. საჯარო განცხადებები სასამართლოს გადაწყვეტილებებისადმი დაუმორჩილებლობისა და მისი აღსრულებისადმი წინააღმდეგობის გაწევის თაობაზე:

✓ „მოსამართლე ურთმელიძის მიერ გამოწერილი სააღსრულებო ფურცელი, რომელსაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში, ხაზგასმით ვამბობ, არავითარ შემთხვევაში არ დავემორჩილებით, იმდენად რამდენადაც მოსამართლე ურთმელიძის არცერთ

გადაწყვეტილებას აპრიორი ვიხილავთ, როგორც უკანონოს, როგორც კონსტიტუციის წინააღმდეგს.... ჩვენ მივიღებთ ყველა ჩვენს ხელთ არსებულ შესაძლებლობას, გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას და ამ კომპანიაში არ შემოვუშვებთ იმ პირებს, ვინც კომპანიას დაასრულებს და ეთერში დატოვებს იმას, რაც ხელისუფლებას უნდა“.

- ✓ „იმ ვითარებაში თუ იქნება ძალისმიერი შემოჭრის მცდელობები კომპანიაში, ჩვენ დავიცავთ თავს ასევე ძალისმიერად, არ ვაპირებთ დავთმოთ ტელეკომპანია..“
- ✓ "ივანიშვილს არ მივცემთ იმის შესაძლებლობას, რომ ჩვენზე ძალადობის გარეშე შემოაღწიოს შენობაში";
- ✓ ამ უკანონო გადაწყვეტილების აღსრულება ... მათ მოუწევთ სპეცდანიშნულების რაზმით ჟურნალისტთა კორდონზე გადავლა. გამოწვევა მიღებულია. ჩვენ მზად ვართ ამ ბრძოლისთვის, ვნახოთ როგორ გაუვათ“.

---

ჟურნალისტთა განცხადებების შედარებით ვრცელი ამონარიდები მათი ავტორების, მათი გაკეთების ადგილისა და დროის მითითებით

## 1. ნიკა გვარამია

19 ოქტომბერი, 2015; სასამართლო პროცესი.

ნ. გვარამია მოსამართლე თ. ურთმელიძეს მიმართავს შემდეგი სიტყვებით:

„ თქვენ ვის რა უნდა ასწავლოთ, ბათუმში ჩააბარე გამოცდა, სრულიად გასაგებია როგორც ჩააბარეთ და არაფერი თქვენ არ იცით“ . აღნიშნულ რეპლიკას მოსამართლე მიიჩნევს სასამართლოს შეურაცხყოფად და პროცესიდან ამევეებს გვარამიას. გვარამიას რეპლიკა ადგილიდან: „ თქვენ არა ხართ“ სასამართლო!“ დარბაზიდან გასვლისას კი მიმართავს მოსამართლეს შემდეგი სიტყვებით: „ თქვენ გაძევდებით სასამართლო შენობიდან კი არა, სისტემიდან, თან ძალიან ცუდად, რომ იცოდეთ!“.

<http://www.myvideo.ge/v/2663696>

---

## 2. ნიკა გვარამია.

22 ოქტომბერი, 2015.

„შთაბეჭდილება მრჩება, რომ ფსიქოტროპული პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ არის, უვიცი, უწიგნური ურთმელიძე“

<http://www.palitravideo.ge/yvela-video/akhali-ambebi/64589-shthabetcdileba-mrcheba-rom-uvici-utsignuri-urthmelidze-fsiqotropuli-preparatebis-zemoqmedebis-qveshaa-nika-gvaramia.html>

---

### 3. ნიკა გვარამია :

28 ოქტომბერი 2015. გადაცემა „კურიერი“, სადაც გადმოცემული იყო ნ. გვარამიას ბრიფინგი.

*"სასამართლო ჩვენთვის ყრუა, სასამართლო ჩვენთვის ბრმაა. ჩვენ არ ვიმყოფებით სასამართლო პროცესზე, ჩვენ არ გვყავს მოსამართლე, ჩვენს საქმეს დაქირავებული ზონდერი იხილავს, რომელიც აუცილებლად და უტყუარად წარსდგება სასამართლოს წინაშე და პასუხს აგებს ყველა თავისი ქმედებისთვის..."*

დრო: 07:25- 07:55

*„მოსამართლე ურთმელიძის მიერ გამოწერილი სააღსრულებო ფურცელი, რომელსაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში, ხაზგასმით ვამბობ, არავითარ შემთხვევაში არ დავემორჩილებით, იმდენად რამდენადაც მოსამართლე ურთმელიძის არცერთ გადაწყვეტილებას აპრიორი ვიხილავთ, როგორც უკანონოს, როგორც კონსტიტუციის წინააღმდეგს... ჩვენ მივიღებთ ყველა ჩვენს ხელთ არსებულ შესაძლებლობას გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას და ამ კომპანიაში არ შემოვუშვებთ იმ პირებს, ვინც კომპანიას დაასრულებს და ეთერში დატოვებს იმას, რაც ხელისუფლებას უნდა.“*

დრო: 08:27-09:35.

<http://www.myvideo.ge/v/2983186>

---

### 4. ნიკა გვარამია:

29 ოქტომბერი, 2015;

„რუსთავი 2“- ის აქცია თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინში“.

„სასამართლო სისტემა... ურთმელიძემ ჩამოშალა 10 სამუშაო დღის განმავლობაში და მთელი რეპუტაცია მოუსპო ამ სისტემას, იმიტომ რომ არის მთავრობის დაქირავებული ზონდერი და მანქურთი, და არა მოსამართლე. მოსამართლის მანტიაში გახვეული მანქურთი ურთმელიძე ებრძვის სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებას დედამისისნაჯახით“.

<http://www.myvideo.ge/v/2673301>

---

5. ნიკა გვარამია:

7 ნოემბერი, 2015 ; გადაცემა „არჩევანი“,

„17 გვერდიანი გადაწყვეტილება თამაზ ურთმელიძეს ერთ დღეში კი არა, ერთ კვირაში არ დაუწერია თავის სიცოცხლეში და ამერიკის უზენაესი სასამართლოს არსებობა ყურმოკვრით იცის საერთოდ, და იქ ციტირებები აქვს ამერიკის უზენაესი სასამართლოდან გაკეთებული იმ საქმეებზე, რომლებზეც წარმოდგენა არ აქვს... პროცესის მიმდინარეობის დროს, მაშინაც სხვისი დაწერილი განჩინება წაიკითხა და რამდენიმე სიტყვის შინაარსი რომ ვკითხეთ, რომ აი განმარტეთ აბა რას ნიშნავს ეს სიტყვა თქო, ვერ განმარტა, უცხო სიტყვები იყო მისთვის, თორემ იურისტებისთვის ბევრისთვის გასაგები. საუბარია სრულ ფაბრიკაციაზე, ეს არ არის მართლმსაჯულება და სასამართლო“.

დრო: 16:05;

<http://rustavi2.com/ka/video/10294?v=2>

---

6. ნიკა გვარამია .

12 ნოემბერი, 2015;

„ეს გადაწყვეტილება უღრანი ტყის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ურთმელიძემ შექმნა, ფესვდომართლმსაჯულებით .. რასაც ურთმელიძე და სასამართლო სისტემა აკეთებს, სრული სამართლებრივი დომხალია“.

დრო:16:01

<http://newsday.ge/new/index.php/ka/component/k2/item/10640-%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94>

**7. ნიკა გვარამია:**

„ურთმელიძე გახდა ზედსართავი სახელი, ის აღნიშნავს უსამართლობას, დედის უარყოფას, ის აღნიშნავს ყველაფერ ცუდს რაც არსებობს ქვეყანაზე. ასეთი მიმართებები არის საზოგადოებაში - ურთმელიძე ხომ არ ხარ?“

<http://www.myvideo.ge/tv/imedihq>

---

**8. ნიკა გვარამია:**

„მოსამართლე შორენა ყველაშვილი... არის პირადად სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, ვალერი ცერცვაძის ზონდერ მოსამართლე.

---

**9. ნიკა გვარამია:**

კომენტარი სასამართლო დარბაზის დატოვების შემდეგ:

„ კოლეგია, თუა წულუკიანი და მთავრობის წევრები ერთიდაიგივე დისკუსიის ნაწილი არიან და “ერთნაირად დაამთავრებენ“.

„აქ ჩვეულებრივი ზონდერული მუშაობა მიდის მოსამართლეებთან, განსაკუთრებით ნატა ნაზლაიძეა ამაში შემჩნეული და აკვირვებს ხოლმე თავის კოლეგებს. ნატა ნაზლაიძე არის ურთმელიძე კაბაში, არავითარი სხვაობა მათ შორის არ არის, ერთნაირად დაამთავრებენ, ნატა ნაზლაიძე, თამაზ ურთმელიძეც და თუა წულუკიანიც;“

„ყველაფერს გავაკეთებ, რომ ფორმალურადაც არ იყოს ის მოსამართლე... ამ ქალბატონს მანტიას აუცილებლად გავხდით, რადგან ის არ არის მოსამართლე, ის ... დაამთავრებს ცუდად, ამას მას ვპირდები, ამის გარანტიას ვაძლევ 100 პროცენტადას.“

<http://www.myvideo.ge/tv/imedihq>

<http://www.timer.ge/nika-gvaramia-nata-nazghaidze-aris-urthmelidze-kabashi/>

---

**10. ნიკა გვარამია:**

31 მაისი, 2016. განცხადება სასამართლო პროცესიდან გამოძევების შემდეგ.

„ ნუ, მთავარი ზონდერი გამოკვეთილია, რომ არის ქ-ნ ნაზლაიძე, სრულიად სამარცხვინო. ურთმელიძეს თუ ვნახავდი კაბაში, ამისი მოლოდინი არ მქონდა, მაგრამ ვხედავთ ურთმელიძეს კაბაში და გარანტიას ვაძლევთ ქ-ნ ნაზლაიძეს , აი როგორც ურთმელიძემ დაამთავრა- ეხლა ხომ აღარ არის მოსამართლე და ვეღარც იქნება ვერასდროს, ისე აღარ იქნება ძალიან მალე თვითონაც, და ვეღარც გახდება ვერასდროს, თუ ამითი შემოიფარგლა მისი პასუხისმგებლობა, ჩათვალოს რომ ძალიან ბედნიერი უნდა იყოს... ჩვენ გვასამართლებენ ზონდერ მოსამართლეები. ეს კარგათ არ დამთავრდება მეგობრებო! “

დრო : 00:59; <http://www.myvideo.ge/v/2884037>

---

#### 11. ნიკა გვარამია.

31 მაისი, 2016; გადაცემა „კურიერი“; განცხადება სააპელაციო სასამართლოს სხდომიდან გამოძევების შემდეგ:

„ნატა ნაზლაიძე მონაა ჩვეულებრივი ბიძინა ივანიშვილის მორიგი...ბევრნი არიან, განსაკუთრებით სასამართლო სისტემაში მომრავლდნენ სამწუხაროდ, რა დავალებაც აქვს იმ დავალებას ასრულებს, ეს არ არის მოსამართლე და ყველაფერს გააკეთებ , რომ ფორმალურადაც არ იყოს მოსამართლე. მანტიის გახდაზე თამაშს არავისთან არ ვაპირებ, მაგრამ ამ ქალბატონს მანტიას აუცილებლად გავხდით, იმიტომ, რომ ის არ არის მოსამართლე, ის ...დაამთავრებს ცუდად -ამას მას ვპირდები, ამის გარანტიას ვაძლევ ამისას 100%-იანს.“

დრო: 2:47; [https://www.youtube.com/watch?v=1cQwh7TDz\\_M](https://www.youtube.com/watch?v=1cQwh7TDz_M)

---

#### 12. ნიკა გვარამია:

1 ივნისი, ბრიფინგი

„ ერთ-ერთი მოსამართლე გუჯაბიძე, ჩვენი ინფორმაციით იღვენება თაღლითობისათვის საქართველოს პროკურატურის მიერ“ ; გუჯაბიძე ყოველთვის ასოცირდებოდა წულუკიანის გუნდთან, ძაღლმა ძაღლის ტყავი არ დახია!

დრო: 01:42;

„რუსთავი 2“ წინააღმდეგია მისი ძალიან მნიშვნელოვანი საქმე განიხილოს თაღლითობაში ბრალდებულმა მოსამართლემ, უფრო სწორედ თაღლითობაში შემჩნეულმა მოსამართლემ, მაინც იურიდიულ ტერმინებში რომ კორექტულები ვიყოთ. იმიტომ რომ ის განსაკუთრებით მოწყვლადიც არის ამავდროულად, გარდა იმისა, რომ როგორც აღმოჩნდა თაღლითია, არის

განსაკუთრებულად მოწყვლადი საქართველოს პროკურატურის მიმართ, ისევე როგორც ეს ხდებოდა მოსამართლე ურთმელიძის შემთხვევაში.  
დრო: 02:51

*„თაღლითობაში შემჩნეული და სახელმწიფო სახსრების მითვისებაში-ეს მინიმუმ ასეა! მაქსიმუმ მის წინააღმდეგ მიმდინარეობს დევნა სისხლის სამართლის და პროკურატურას ის ყავს მიზნული, როგორც ყავდა მიზნული მოსამართლე ურთმელიძე (დრო 04:00) ასეთი მოწყვლადი მოსამართლე და ასეთი თაღლითი მოსამართლე ჩვენ ჩვენს საქმეში არ გვჭირდება!*

დრო: 05:44

<http://www.myvideo.ge/v/2885154>

---

### **13. გიორგი გაბუნია**

*„ცუდია, რომ ნიკა გვარამია არ აყვა ნათია გუჯაბიძის თამაშს, თორემ ახლა ხომ მოუწევდა ქალბატონ ნათია მანტიის გახდა. არა მგონია, რაიმე საინტერესო დახვედროდა იქ, მაგრამ მაინც.“*

<http://www.ipress.ge/new/34929-nika-gvaramia-valeri-cercvadze-aris-mosamartlis-zonderi-damas-hyavs-qvemdgomi-zonderebi>

<https://www.youtube.com/watch?v=0SevGFAo1k>

---

### **14. ნიკა გვარამია:**

საგანგებო ბრიფინგი:

*„ საქმე გვაქვს ზონდერ მოსამართლესთან (იგულისხმება მოსამართლე შორენა ყაველაშვილი) რომელიც სპეციალურად არის გამწესებული ამ კოლეგიაში იმისთვის, რომ ისე მართოს ყველაფერი, როგორც დაჭირდება ეს ამ შემთხვევაში ვალერი ცერცვაძეს“.*

*„ ის (მოსამართლე შორენა ყაველაშვილი) არის მოსამართლის ზონდერი და მას ჰყავს თავისი ქვემდგომი ზონდერები, რომელიც მოგვივლინა ამ პროცესზე.“*

*„ჩვენ გვაქვს დიდი ეჭვი, რომ შორენა ყაველაშვილი არის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ვალერი ცერცვაძის ზონდერ-მოსამართლე“ .*



"ის (მოსამართლე შორენა ყაველაშვილი) არის ზონდერი და დავალების შემსრულებელი“.

<http://www.ipress.ge/new/34929-nika-gvaramia-valeri-cercvadze-aris-mosamartlis-zonderi-da-mas-hyavs-qvemdgomi-zonderebiვბ>

<https://on.ge/story/1285->

<https://on.ge/story/1285-%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94->

<https://on.ge/story/1285-%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98->

<https://on.ge/story/1285-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D->

<https://on.ge/story/1285-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1->

<https://on.ge/story/1285-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%93%E1%83%AF%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1->

<https://on.ge/story/1285-%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90>

## 15. ნიკა გვარამია:

3 ივნისი, 2016 წელი

„ტვ პირველი“, გადაცემა „დღის ამბები ინგა გრიგოლიასთან ერთად“,

*„მე გარანტიას ვაძლევ ყველა იმ მოსამართლეს, რომელიც ამაში ჩაბმულია, ისინი აგებენ პასუხს კანონის წინაშე, კანონის მთელი სიმკაცრით, იმიტომ რომ არასდროს, არცერთ მოსამართლეს ამ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა ვინ იქნება ხელისუფლებაში თავში არ მოუვიდეს იმის გაკეთება, რაც მათ გააკეთეს პოლიტიკურად დაკვეთილ საქმეებზე.“*  
დრო: 8:25

*„ ისინი მოსამართლეები არ არიან, ისინი არიან მანქურთები მანტიაში. ნათია გუჯაბიძე საერთოდაც თაღლითი აღმოჩნდა, ფულს ითვისებდა სახელმწიფოსგან.“*

დრო: 9:09:

*„ჩვენ დავამარცხებთ ბიძინა ივანიშვილსაც და საკუთრივ სასამართლო სისტემასაც! აი მათვე დავამარცხებ, მათსავე კაბინეტებში ამ მოსამართლეებს და მათსავე დარბაზებში, მაგრამ ჩვენი მთავარი მონაპოვარი იქნება ის, რომ უმოწყალოდ მძიმედ ჩადენილი დანაშაულისთვის დაისჯებიან ეს მოსამართლეები კანონის მთელი სიმკაცრით.“*  
დრო: 9:38:

<https://www.youtube.com/watch?v=XnOMBgrh4n8>

---

16. ნიკა გვარამია:

7 ივნისი, 2016;

„კურიერი“, პირდაპირი ეთერი სააპელაციო სასამართლოს ეზოდან.

*ეს ხომ არ არის მართლმსაჯულება... დავალების გამცემის თავში რა მომწიფდა და რა დავალება გასცა ამ ვითომ მოსამართლე, სამარცხვინო ქალბატონებზე, მე ნამდვილად არ ვიცი“ .*

დრო: 01:27:

„ეს არ არის მართლმსაჯულება და უკვე მართლმსაჯულების იმიტაცია, ეს არის ჩვეულებრივი ძალადობა, რაც ეხლა სასამართლო დარბაზში ხდება, ეს სასამართლო დარბაზიც აღარ არის, ამ შენობამ სასამართლოს სტატუსიც დაკარგა...“

დრო: 02:20:

*„ეს ადამიანები დიდხანს თავისუფლებაზე ვერ იქნებიან, იმის გამო რასაც აკეთებენ, ყველამ ძალიან კარგათ იცის საქართველოში რომ ეს ქალები არიან ჩვეულებრივი დავალების შემსრულებელი მანქურთები, ზონდერები და ყველა ზონდერი ადრე თუ გვიან ამთავრებს ციხეში, არსებობს ქალთა კოლონიაც! „*

დრო: 03:19 :

<http://www.myvideo.ge/v/2892006>

---

17.) ნიკა გვარამია:

21 ოქტომბერი, 2015; „კურიერის“ სპეციალური გამოშვება,

*„გეუბნებით ღიად, ჩვენ არ დავუთმობთ არავის რუსთავი 2, იმიტომ რომ ხვალინდელი გადაწყვეტილება არის აპრიორი უკანონო, ჩვენ არ ვაპირებთ მის აღსრულებას, ჩვენ ვაპირებთ მაუწყებლობას იმ ფორმატით რა ფორმატიც გვაქვს, იმ ვითარებაში თუ იქნება*

ძალისმიერი შემოჭრის მცდელობები კომპანიაში, ჩვენ დავიცავთ თავს ასევე ძალისმიერად, არ ვაპირებთ დავთმოთ ტელეკომპანია..“

დრო: 05:40 - 06:16; <http://rustavi2.com/ka/video/9884?v=2>

---

#### 18. ნიკა გვარამია:

19 თებერვალი, „რუსთავი 2“- ის აქცია;

„ ნუ გაყვებით ბარაბას გზას კიდევ ერთხელ, ნუ გაყვებით ურთმელიძეს, ნუ გაყვებით ნაზლაიძეს, ნუ გაყვებით ყველა დამქაშს, მექრთამეს, ნაძირალას! გაყევით მარო მაცაშვილის გზას. გაყევით ქრისტეს გზას და თქვენი შვილების დაგიფასებენ პირველ რიგში. თქვენ შეხვალთ თქვენი ქვეყნის ისტორიაში. არასდროს არ იდგებით მეორეჯერ ესეთი მარტივი არჩევანის წინაშე, ჩაწეროთ თქვენი თავი ისტორიაში ოქროს ასოებით, ან ჩაწეროთ შავი ასოებით, სამარცხვინო სვეტზე გააკრათ თქვენი თავები, თქვენი ოჯახები და მთელი თქვენი შთამომავლობა. გარანტიას გაძლევთ, ყველა იმ მოსამართლეს რომელიც უკანონობას მოაწერს ხელს, მის ფეხქვეშ მიწა დაიწვება აუცილებლად“.

დრო: 15:47- 15:49; <http://www.myvideo.ge/tv/rustavi2/2017-02-19/15:47:31>

---

#### 19. გიორგი გაბუნია:

5 თებერვალი, 2017; გადაცემა „P.S“

„მილიონი ლარი მოსამართლის ოჯახს, როგორც ჩანს, ნატა ნაზლაიძის გმირობა დაუფასებელი არ დარჩა და გაწეული სამსახურისთვის ქართულმა ოცნება ის სოლიდურად დაასაჩუქრა... ურთმელიძის გენიალური გადაწყვეტილება მან ძალაში დატოვა და „რუსთავი 2“ ხალვაშს მიაკუთვნა. რამდენიმე თვეში კი მისმა ძმამ სახელმწიფოსგან რამდენიმე მილიონი ლარი მიიღო -გასტუმრებული საბანკო კრედიტის და მიწის სახით. საინტერესოა როგორია ოფიციალური ვერსია, რით დაიმსახურა ნატა ნაზლაიძის ოჯახმა ასეთი გულუხვი საჩუქარი. სახელმწიფოსგან მიღებული ერთი მილიონი ლარის დამადასტურებელი დოკუმენტები პოსკ-რიპტუმის ხელში აღმოჩნდა.

დრო: 01:38;

<http://rustavi2.com/ka/video/22417?v=2>

---

#### 20. ნიკა გვარამია.

5 თებერვალი, 2017; გადაცემა „P.S“

*„ ეს არის კორუფციის ფაქტი, კატასტროფულად მძიმე ფაქტი, მართალი ვითხრათ მოულოდნელია ჩემთვის, მეგონა მაინც რომ ქალბატონმა ნაზლაიძემ ეს ყველაფერი გააკეთა სხვა სარგებლის გამო, ანუ მოსამართლედ უვადოდ დანიშვნის სანაცვლოდ, აღმოჩნდა, რომ მან დაახლოებით მილიონამდე ქრთამი აიღო. სწორედ მან, იმიტომ, რომ მან შეასრულა, სარგებელიც მან ნახა, იმიტომ რომ მისმა ოჯახის წევრმა, თან დეკლარირებულად მისმა ოჯახის წევრმა, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობს, მიიღო ეს თანხა სარგებელში.*

*ეს არის ღიად გაცხადებული კორუფცია, რომელშიც ჩართული არის თბილისის საკრებულო, ჩართულნი არიან მერიის სამსახურები და მეორეს მხრივ, ქრთამის ამღები არის მოსამართლე. ეს არის სახელმწიფოს მხრიდან ქრთამის გადახდა მოსამართლისთვის! ხაზს ვუსვამ- სახელმწიფოს მხრიდან, სახელმწიფოს სახსრებით! ბიძინა ივანიშვილმა ისიც კი არ ქნა, რომ საკუთარი ჯიბიდან ამოეღო ფული და მისთვის მიეცა. სახელმწიფოს სახსრებით გადაუხადა მას ქრთამი, იმისათვის, რომ რუსთავი 2 -ის საქმე ესე გადაწყვეტილიყო“.*

დრო:16:00-17:00

<http://rustavi2.com/ka/video/22417?v=2>

---

## 21. ნ. გვარამია:

1 მარტი 2017; გადაცემა „კურიერი“, ნიკა გვარამიას ბრიფინგი.

*„თუ მოსამართლეები მიიღებენ უკანონო გადაწყვეტილებას და ნებისმიერი გადაწყვეტილება ქიზარ ხალვაშის სასარგებლოდ იქნება უკანონო, ყოველი მათგანი ხელს მოაწერს საკუთარ პროფესიულ და კარიერულ თვითლიკვიდაციას, ეს იქნება პროფესიული და კარიერული სუიციდი, ეს ადამიანები ვერასდროს ვერ გააგრძელებენ პროფესიულ და კარიერულ წინსვლას ამ ქვეყანაში.“*

დრო: 01:16 – 01:57; <http://rustavi2.com/ka/news/69394>

---

## 22. ზაალ უდუმაშვილი:

2 მარტი, 2017; გადაცემა „არჩევანი“,

*.. რა განუკითხაობაა საერთოდ სასამართლო სისტემაში, როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება.. საქართველოში სასამართლო სისტემა არ არსებობს როგორც ასეთი. ერთი ადამიანი*

არის გადაწყვეტილებების მიმღები, ერთ ადამიანს უჭირავს ის ჩაქუჩი რომლითაც მიიღება გადაწყვეტილებები სასამართლო სისტემაში და არიან უზრალო ხელმომწერი მოსამართლეები, რომელსაც რასაც დაუდებენ იმას აწერენ ხელს, ეს არის ჩვენი დღევანდელი სასამართლო სისტემა. გამორიცხულია ამდენი ტომების წაკითხვა და შეჯერება ამ პოზიციაზე, თუ წინასწარ არ დაუდეს ეს გადაწყვეტილება და აიძულებს მოსამართლეები რომ ხელი მოეწერათ. ამასთან გვაქვს ეხლა საქმე, ასეთია სასამართლო სისტემა ხალხო, წინასწარ დადებენ გადაწყვეტილებას და უზრალოდ მოაწერენ ხელს.”

დრო: 01:13-02:35; <http://rustavi2.com/ka/news/69530>

---

### 23.ნ.გვარამია:

2 მარტი, 2017; გადაცემა „არჩევანი“,

„ძალიან კარგია, რომ უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ გამოიტანა ეს გადაწყვეტილება, რადგან, ჩვენ უკვე ვიცით, რომ მთელი უზენაესი სასამართლო არის ერთი ძალიან დიდი ნაგვის ურნა, რომელშიც მიიღება არა გადაწყვეტილებები, არამედ სამართლებრივი ნაგავი..“

დრო: 08:45; <http://rustavi2.com/ka/video/22980?v=2>

---

### 24.ზაალ უდუმაშვილი:

3 მარტი, 2017; „კურიერი“ :

„შუალედური ღონისძიების გამოყენების დღესვე, საღამოს საინფორმაციო გადაცემაში ტელეკომპანიამ გაავრცელა განცხადება, რომ თითქოს „შუალედური ღონისძიების გამოყენებით სტრასბურგის სასამართლომ დაადასტურა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების უკანონობა.“

---

### 25. გიორგი გაბუნია:

11 მარტი, 2017; აქცია-კონცერტი რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ.

„ რაც შეეხება ჩვენს ხელისუფლებას, სამწუხაროდ მათ გვერდით დგანან სულ სხვანაირი ადამიანები, ისინი ისტორიაში შევიდნენ ურთმელიძის დედის ნაჯახით, ისინი ისტორიაში შევიდნენ გუჯაბიძის დედისთვის, ჩვენივე ფულით მიქირავებული ბინით, ისინი

ისტორიაში შევიდნენ იმ 9 მოსამართლით, რომლებმაც, როგორც ბრბომ ერთხმად მისცა ხმა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მათთვის დაწერა ამ ხელისუფლებამ“.

დრო - 02:00 -02:31; <http://rustavi2.com/ka/news/70325>

---

## 26. ნიკა გვარამია:

11 მარტი, 2017; აქცია-კონცერტი რუსთაველის გამზირზე პარლამენტის წინ:

„ მე ვერ ვეტყვი და ვერცერთი ჩვენთაგანი ვერ ეტყვის მაღლობას ქართველ მოსამართლეებს, სამარცხვინო, ქვეყნის თავისმომჭრელ - გაყიდულ მონებს! ამიტომ ჩვენ დღეს აქ მოვითხოვთ და ყველას, ვისაც გავლენა აქვს საზოგადოებაზე მოუწოდოს იგივე. ჩვენ ვითხოვთ აქ ჩამოთვლილი სამარცხვინო გამყიდველების გადადგომას, ესენი არიან: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე, მოსამართლეები: ეკატერინე გასიტაშვილი, პაატა ქათამაძე, ბესარიონ ალავეძე, მზია თოდუა, ზურაბ ძლიერიშვილი, ვასილ როინიშვილი, მაია ვაჩაძე, გიორგი შავლიაშვილი, ნატალია ნაზლაიძე, ნათია გუჯაბიძე და შორენა ყაველაშვილი. ჩვენ ვითხოვთ რომ ეს ხალხი წავიდნენ სასამართლოდან, ისინი არ ასრულებენ კონსტიტუციურ ფუნქციას, ისინი არიან გაყიდული მონები და მათი ადგილი არ არის სასამართლოში“.

დრო: 2:53-04:25; <http://rustavi2.com/ka/news/70328>

---

## 27.) ნიკა გვარამია:

11 მარტი, 2017, აქცია რუსთაველის გამზირზე;

„წამზომი ჩართულია, მოსახლეობა ითხოვს გადადევით და დაეხსენით მართლმსაჯულებას, თვენ მართლმსაჯულებას ვერ განახორციელებთ! და კიდევ ერთი, არცერთი ეს ადამიანი არ შეიძლება შედიოდეს სტუდენტებთან და წამლავდეს მათ თავისი ტყუილებით, არ შეიძლება სტუდენტებს და შემდეგ თაობებს უკითხავდნენ ლექციებს ადამიანები, რომლებიც სრულიად სამარცხვინოდ მონურ მდგომარეობაში იმყოფებიან დღეს. მოვუწოდებ ყველა სტუდენტს არ შევიდეს, პროტესტი და ბოიკოტი გამოუცხადოს გამოუცხადოს ყველა ამ ადამიანს, უარი უთხრას მათ ლექციებს, უარი უთხრას ამ უწესო ადამიანებს და მონებს, რომლებმაც გაყიდეს ქართული მართლმსაჯულება და რომლებსაც ევროპის სასამართლომ უთხრა რომ დიახ - თქვენ არა ხართ სასამართლო! თქვენ არა ხართ ეროვნული ინტერესების გამტარებლები, თქვენ ხართ ჯიბის მოსამართლეები, თქვენ არ ახორციელებთ მართლმსაჯულებას! კიდევ ერთხელ ყველა პოლიტიკურ ძალას, ყველა არასამთავრობო

ორგანიზაციას, ყველას, ყველა ქართველს ღიად და საჯაროდ დააფიქსიროს პროტესტი ამ ადამიანების მიმართ და მათი გადადგომა აქტიურად.“

დრო: 04:35-05:56; <http://rustavi2.com/ka/news/70328>

## 28.ზაალ უდუმაშვილი:

11 მარტი, 2017, აქცია რუსთაველის გამზირზე;

„მეგობრებო, 2 მარტი ალბათ, ყველაზე მძიმე დღე იყო რუსთავი 2-ის ისტორიაში, როდესაც **9 უსირცხვილო და კრიმინალმა მოსამართლემ** ერთხმად მოაწერა ხელი გადაწყვეტილებას და ეს ტელევიზია ბიძინა ივანიშვილს მიაკუთვნა... სულ რამდენიმე საათში, ერთმა მალტელმა მოსამართლემ სტრასბურგის სასამართლოში ხელიდან გამოგლიჯა ბიძინა ივანიშვილს რუსთავი 2! 5 დღის შემდეგ კი 7-მა მოსამართლემ ერთხმად დაადასტურა, რომ საქართველოში სიტყვის თავისუფლება საფრთხეშია.“

დრო: 03:10- 03:40; <http://rustavi2.com/ka/news/70323>

---

## 29. ელისო კილაძე

„გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და დაწერილია თეა წულუკიანის კაბინეტში წუხელ. ნინო გვერეტაძემ მიიტანა ეს გადაწყვეტილება... ამ უკანონო გადაწყვეტილების აღსრულება, რომლის მიღებასაც დღეს ამ შენობაში აპირებენ მათ მოუწევთ სპეცდანიშნულების რაზმით ჟურნალისტთა კორდონზე გადავლა. გამოწვევა მიღებულია. ჩვენ მზად ვართ ამ ბრძოლისთვის, ვნახოთ როგორ გაუვათ“.

სააგენტო „ნიუსპოსტი“

<http://www.newposts.ge/?l=G&id=133842-%E1%83%99%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94,%20%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%982>

## 30. ელისო კილაძე

(განცხადება გაკეთებულია უზენაესი სასამართლოს წინ გამართულ რუსთავი 2-ის მხარდამჭერ აქციაზე).

„გადაწყვეტილება დაწერილია გუშინ, დაიწერა იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის კაბინეტში, ეკა ბესელიას მონაწილეობით“ .

სააგენტო ტაიმერი

<http://www.timer.ge/eliso-kiladze-gadatskhvatileba-datserilia/>



---

31. ელისო კილაძე:

*„სასამართლო კოლეგიაში ზის სამი შაკიდი ქალი, რომელიც ანგრევს ქართულ სახელმწიფოს.“*

სააგენტო „ტაიმერი“

<http://www.timer.ge/eliso-kiladze-sasamarthlo-kolegiashi-zis-sami-shahidi-qali/>

---

32. ელისო კილაძე :

*„რუსთავი 2-ის საქმეზე გადაწყვეტილება თვა წულუკიანის კაბინეტში დაიწერა ეკა ბესელიასთან კონსულტაციების შემდეგ. ნინო გვენეტაძე, ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ გინდა? მართლა მიწა დაიწვება შენს ფეხქვეშ.“ ახლა მხოლოდ ის მაინტერესებს, რამდენი მოსამართლე დაამანტაჟეს და ვინ მოაწერს ხელს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ნინო გვენეტაძემ უზენაეს სასამართლოში მიიტანა“.*

სააგენტო „გეონიუსი“

<http://geonews.ge/geo/news/story/78826-nino-gvenetadze-am-qvekanashi-tskhovreba-aghar-ginda---eliso-kiladze-rustavi-2-tan-dakavshirebit>

---

33. ელისო კილაძე

*"ბატონო ზურაბ, მე მრცხვენია, რომ ჩემს ქალიშვილს სამართალს ასწავლით. ამ მოსამართლეების სურათებმა მთელი საქართველო უნდა მოიაროს. ნინო გვენეტაძე კი უმკაცრესად უნდა დაისაჯოს."*

<http://geonews.ge/geo/news/story/78871-strasburgshi-sul-satitaod-dautvlian-rustavi-2-ze-kvela-sadjaro-pirs-kvela-sitkvas-da-statuss---eliso-kiladze>

---

34. თ. ჩერგოლეიშვილი,

22 ივნისი, 2016;



*"ივანიშვილს არ მივცემთ იმის შესაძლებლობას, რომ ჩვენზე ძალადობის გარეშე შემოაღწიოს შენობაში";*

<http://rustavi2.com/ka/news/50027>